იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 36

„27" „ნოემბერი" 2016 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის 25 დეკემბრის #12 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის იურიდიული საქმის წარმოების მართვის საინფორმაციო სისტემაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ,

ა) განაცხადის ბარათის მოდულს დაემატოს მისაბმელი დოკუმენტების ცხრილი და დოკუმენტის მიბმისას მოხდეს მისი სახეობის აღწერის განსაზღვრა,

დოკუმენტების ცხრილი შედგება სვეტებისა და ღილაკებისგან :

- სახეობა;
- აღწერა;
- დამატება;
- შეცვლა;
- წაშლა.

ბ) განაცხადზე მიბმული დოკუმენტი მოიცავს, განაცხადის დოკუმენტის ჩანართს, რომელიც შედგება:

➢ ღილაკების სტრიქონი:

- გასვლა;
- დამატება;
- შენახვა;
- წინა;
- მომდევნო;
- წაშლა;
- ფაილის მიბმა;
- ფაილის გახსნა;

➢ ატრიბუტული მონაცემები:

- სახეობა (ჩამოშლადი მონაცემებით);
- აღწერა;
- ჩანაწერის შექმნის თარიღი;
- ბოლო ცვლილების თარიღი;
- მომხმარებელი.

გ) განაცხადის ძებნის მოდულის ველს - ადვოკატი/ბრალდებას დაემატოს - დოკუმენტის ბლოკი შემდეგი საძიებო პარამეტრებით;

- არსებობს (გასააქტიურებელი ღილაკი);

- სახეობა;
- აღწერა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: ეკატერინე ფოფხაძე

თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა ფურელიანი

საბჭოს წევრები:

ელზა ლეშკაშელი

ბონდო ალასანია

ილია ჭანტურაია

ზაქრო გვიშიანი

ნათია ჩირიკაშვილი